<u>გადამუშავებული ვარიანტი</u>
<u>პროექტი</u>

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი

## „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N68, 14.12.2010) მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $2^1$ პუნქტი:

„$2^1$. პირს შეიძლება საკუთრებაში გადაეცეს მის მიერ დაზიანებული, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ან/და ხელისუფლების ორგანოს/საჯარო სამართლის/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ბალანსზე რიცხული მოძრავი ნივთი, ამ ნივთის დაზიანებამდე არსებული საბაზრო ღირებულების (რომელიც არ შეიძლება იყოს საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები) არანაკლები ღირებულების ნივთის მიღების სანაცვლოდ. ხელისუფლების ორგანო/საჯარო სამართლის/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია შესაბამისი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტისა და ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე პირს საკუთრებაში გადასცეს მოძრავი ნივთი და სანაცვლოდ მიიღოს და ბალანსზე აიყვანოს შესაბამისი ნივთი.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე — თორნიკე რიჟვაძე

ბათუმი,
2022 წლის
№